საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაგრატიონი ქეთევან კონსტანტინეს ასული

ბაგრატიონი ქეთევან კონსტანტინეს ასული (დ. 20. VII. 1954, ტალანსი, საფრანგეთი), ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს შთამომავალი.

1977 დაამთავრა ბორდოს უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი სლავური და ინგლ. ენების სპეციალობით. 1975–76 სტაჟირებაზე იყო თბილ. და მოსკ. უნ-ტებში. 1978 ცოლად გაჰყვა იტალიის დიდ მთავარს რაიმონდო ორსინ დ არაგონა დუკა დი გრავინას და საცხოვრებლად რომში გადავიდა. ჰყავს 4 შვილი.

1991 საქართველოს დახმარების მიზნით რომში დააარსა საზ-ბა იტალიელთა და ქართველთა ერთობა – „წმინდა გიორგის ფარი“. არის საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების მრავალი აქციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. საქ. ელჩი ვატიკანში. საქართველოს საპატიო მოქალაქე (1996).

მ. აბულაძე